მოწვეულ მასწავლებელთა შერჩევის და შეფასების წესი

ND 2- 004-06

დოკუმენტი დამტკიცებულია ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის სენატის 2020 წლის 24 ივლისის № 12/13 გადაწყვეტილებით

2020

დოკუმენტის შინაარსი:

მუხლი 1. მიზანი……..... 2
მუხლი 2. ზოგადი დებულება ……..... 2
მუხლი 3. საკონკურსო კომისია …… 2
მუხლი 4. კონკურსის გამოცხადება და საკონკურსო პირობები …… 3
მუხლი 5. მასწავლებელთა სამსახურში მიღება ……... 4
მუხლი 6. პროფესიულ მასწავლებელთა მოწვევის წესი …… 5
მუხლი 7. მასწავლებელთა სამსახურში მიღების სქემა……... 6
მუხლი 8. პირადი საქმისწარმოება ……..... 6
მუხლი 9. მოწვეული მასწავლებლის შეფასება …… 7
დანართი 1. მოწვეული მასწავლებლის თვითშეფასების კითხვარი …….. 9

1. მიზანი

წინამდებარე პროცედურის მიზანია განისაზღვროს მასწავლებელთა (გარდა აკადემიური პერსონალისა) სასწავლო პროცესზე ხელშეკრულებით მოწვევის და მათი საქმიანობის შეფასების პროცესი საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის, ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის წესდებისა და შიდა ნორმატიული აქტების შესაბამისად, შერჩევის საფუძველზე, გამჭვირვალობის, თანასწორობისა და სამართლიანი კონკურენციის პრინციპების დაცვით.

2. ზოგადი დებულება

2.1 საგანმანათლებლო ერთეული უფლებამოსილია სასწავლო პროცესის შეუფერხებლად წარმართვისათვის რექტორს წარუდგინოს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტის კანდიდატურა, რომლის მოწვევის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს რექტორი.

2.2 რექტორი საგანმანათლებლო ერთეულის წარდგინების საფუძველზე აცხადებს ღია კონკურს მოწვეული სპეციალისტების - მასწავლებლების შერჩევის მიზნით.

2.3 რექტორის გადაწყვეტილებით შესაძლებელია მასწავლებელთა მოწვევა მოხდეს კონკურსის გარეშე, შესაბამისი საგანმანათლებლო ერთეულის წარდგინების საფუძველზე, რექტორის ბრძანებით.

2.4 მასწავლებელი არის შესაბამისი განათლების მქონე პირი, რომელსაც აქვს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლების უფლება.

2.5 მასწავლებელი უფლებამოსილია გაუძღვეს სასემინარო, პრაქტიკულსა და ლაბორატორიულ სამუშაოებს აკადემიური თანამდებობის დაკავების გარეშე. საჭიროების შემთხვევაში მასწავლებელი შეიძლება დაშვებულ იქნას ლექციების წასაყვანადაც.

2.6 საგანმანათლებლო პროცესში მასწავლებელთა პერსონალის მოწვევის აუცილებლობა შეიძლება დადგეს იმ შემთხვევაში, თუ:

2.6.1 საგანმანათლებლო პროგრამით დადგენილი საუდიტორო საათებით აკადემიური პერსონალის სრული დატვირთვის მიუხედავად, დარჩება საათები, რომელთა უზრუნველსაყოფად საჭიროა მასწავლებლ(ებ)ის მოწვევა;

2.6.2 საგანმანათლებლო პროგრამა ითვალისწინებს ისეთი სასწავლო კურს(ებ)ის სწავლებას, რომლის განმახორციელებელი სათანადო კომპეტენციის მქონე მასწავლებელი არ ირიცხება საზღვაო აკადემიის აკადემიური პერსონალის რიგებში.

2.7 საათობრივი ანაზღაურების წესით მასწავლებელთა მოწვევის აუცილებლობა დადგება მას შემდეგ, როცა საათების გარკვეული ნაწილი აღმოჩნდება აუთვისებელი აკადემიური დეპარტამენტების მიერ, საათების აკადემიურ პერსონალზე განაწილების შემდგომ (სტუდენტთა სავარაუდო კონტინგენტის გათვალისწინებით).

3. საკონკურსო კომისია

3.1 წინამდებარე პროცედურით დადგენილი წესის შესაბამისად მასწავლებელთა შერჩევის მიზნით იქმნება საკონკურსო კომისია (შემდეგ ტექსტში - კომისია), რომელიც უზრუნველყოფს კონკურსის ჩატარების საორგანიზაციო საკითხებს.

3.2 კომისიის წევრთა რაოდენობა უნდა იყოს კენტი და შედგებოდეს არანაკლებ 5 წევრისაგან. კომისიის წევრთა რაოდენობა და შემადგენლობა განისაზღვრება რექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.
3.3 კომისია უფლებამოსილია, საჭიროების შემთხვევაში კომისიაში მოიწვიოს ექსპერტი (დარგის სპეციალისტი).

4. კონკურსის გამოცხადება და საკონკურსო პირობები

4.1 მასწავლებელთა მოწვევის მიზნით აკადემიის რექტორი ინდივიდუალური ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტით აცხადებს ღია კონკურსს. ბრძანებაში განსაზღვრულია კონკურსის პირობები და ჩატარების ვადები.
4.2 საჯარო გაცნობისათვის, ბრძანება უნდა განთავსდეს აკადემიის ვებ-გვერდზე ან/და გამოიკრას თვალსაჩინო ადგილებზე.
4.3 კონკურსის ჩატარებასთან დაკავშირებული ყველა ინფორმაცია ხელმისაწვდომი უნდა იყოს დაინტერესებული პირებისათვის.
4.4 კონკურსში მონაწილეობის მისაღებად კანდიდატმა უნდა წარმოადგინონ შემდეგი დოკუმენტები აკადემიის კანცელარიაში:
ა) განცხადება საზღვაო აკადემიის რექტორის სახელზე;
ბ) მაგისტრის/დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის განათლების დამადასტურებელი საბუთის დამოწმებული ქსეროასლი;
გ) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ქსეროასლი;
დ) ორი, 3X4 ფორმატის ფოტოსურათი;
ე) CV;
ვ) საკუთარი კომპეტენციის დამადასტურებელი დამატებითი საბუთების (სერტიფიკატების, გამოქვეყნებული კვლევითი და სასწავლო-მეთოდური ხასიათის შრომების, სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ანალოგიური სასწავლო კურსის სწავლების გამოცდილების და სხვა) დამოწმებული ქსეროასლები, რომლის საფუძველზე შესაძლებელი იქნება მისი დაშვება გამოცხადებულ სასწავლო კურსის სწავლებაზე;
ზ) მეზღვაურთათვის - მართვის/ექსპლუატაციის დონის დამადასტურებელი დოკუმენტი (კომპეტენციის სერტიფიკატი), ზღვაოსნობის სტაჟით არანაკლებ 3 წლისა.
თ) სილაბუსი გამოცხადებულ სასწავლო კურსში (საჭიროების შემთხვევაში);
4.5 მასწავლებლის კონკურსში მონაწილეობის მისაღებად, 6.4 პუნქტით დადგენილი პირობებთან აუცილებელი შესაბამისობის გარდა გათვალისწინებულ იქნება თითოეული კანდიდატის აკადემიური ხარისხის/საკვლევო ნაშრომის/სერტიფიკატის შესაბამისობა იმ სასწავლო კურსის თემატიკასთან, რომლის წაყვანას აპირებს კანდიდატი, ან კანდიდატს უნდა ქონდეს პრაქტიკული გამოცდილება იმ სფეროში, რომელსაც განეკუთვნება სასწავლო კურსი;
4.6 კონკურსის შემთხვევაში უპირატესობა მიენიჭება კანდიდატს, რომელსაც აქვს სასწავლო კურსის სწავლების უკეთესი გამოცდილება და სწავლების პროცესში უკეთესად იყენებს დარგის/სფეროს უახლეს ინფორმაციას.

4.7 საჭიროების შემთხვევაში, საკონკურსო კომისია უფლებამოსილია კანდიდატებისთვის დანიშნოს დამატებითი ტური (გასაუბრება, ტესტირება, საჩვენებელი პრაქტიკული/ლექცია და სხვა).
4.8 პროფესიული ნიშნით (მეზღვაურის) მასწავლებლის შერჩევის მიზნით შესაძლებელია დადგინდეს განსხვავებული მოთხოვნები.
4.9 ერთი და იგივე პოზიციაზე რამდენიმე მასწავლებლის კანდიდატურის არსებობის შემთხვევაში კომისია ადგენს მოსაწვევი მასწავლებლების რეიტინგს წარმოდგენილი დოკუმენტაციის ან/და გასაუბრების საფუძველზე, რომელიც გათვალისწინებული იქნება მასთან შრომითი ხელშეკრულების გაფორმების დროს.
4.10 კონკურსში 65 წელს მიღწეული კანდიდატების მონაწილეობის საკითხს წყვეტს კომისია.
4.11 კანდიდატებს უფლება აქვთ განაცხადში მიუთითონ რამდენიმე საკონკურსო თანამდებობა.
4.12 გამარჯვებული კონკურსანტები გადაყვანილი იქნებიან რეზერვში და მათი საათობრივი დატვირთვის განსაზღვრა მოხდება აკადემიური პერსონალის საათობრივი დატვირთვის განსაზღვრის შემდეგ. გამარჯვებულ კონკურსანტთან შრომითი სამართლებრივი ხელშეკრულება გაფორმდება სასწავლო წლის დაწყებამდე არაუგვიანეს ერთი კვირისა.

5. პროფესიულ მასწავლებელთა შერჩევის წესი

1. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სასწავლო საქმიანობის სრულყოფილად წარმართვისათვის საზღვაო აკადემიას ჰყავს მოქმედი კანონმდებლობითა და სასწავლო მიზნებიდან გამომდინარე საჭირო ოდენობის პროგრამის განმახორციელებელი პროფესიული მასწავლებელი;
2. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი პროფესიული მასწავლებელი შეიძლება იყოს უმაღლესი განათლების ან პროფესიული განათლების IV ან V საფეხურის კვალიფიკაციის მფლობელი ან პირი, რომელსაც აქვს შესაბამისი პროფესიით მუშაობის არანაკლებ 3 წლიანი გამოცდილება;
3. IV საფეხურის კვალიფიკაციის მფლობელ პროგრამის განმახორციელებელ პროფესიულ მასწავლებელს უფლება არ აქვს, ასწავლოს V საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში. შესაბამისი პროფესიული სტანდარტით შეიძლება დადგენილი იყოს დამატებითი მოთხოვნები;
4. პროფესიული მასწავლებლის შერჩევა ხდება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ავტორიზაციისათვის მოსამზადებელ პროცესში პირდაპირი წესით, საზღვაო აკადემიის პროფესიული მომზადების ცენტრის უფროსის ან სხვა შესაბამისი თანამდებობის პირების მიერ პარტნიორ ორგანიზაციებში და პროფესიულ საზოგადოებაში იმ კადრების მოძიებით, რომლებიც აკმაყოფილებენ კანონმდებლობის მოთხოვნებს;

5. შერჩეულ პირთან ფორმდება წინარე ხელშეკრულება, რომლითაც წარმოიშობა სამომავლო ხელშეკრულების დადების ვალდებულება;

6. მოწვეული პროფესიული მასწავლებლის პოზიციაზე კანდიდატმა უნდა წარმოადგინოს:

- ✓ პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
- ✓ ავტობიოგრაფია CV;
- ✓ განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი (დედანთან ერთად, დედანი უბრუნდება);
- ✓ შესაბამისი კვალიფიკაციით შრომითი გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტი;

7. შერჩეული პირები განცხადებით მიმართავენ აკადემიის რექტორს პროფესიული განათლების მასწავლებლად დასაქმების თაობაზე;

8. პროფესიული მომზადების ცენტრის უფროსის წარდგინების საფუძველზე საზღვაო აკადემიის რექტორი გამოსცემს ინდივიდუალურ-სამართლებრივ აქტს პირის პროფესიული განათლების მასწავლებლად დანიშვნის შესახებ, რის საფუძველზეც იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტი აფორმებს მასთან შრომით ხელშეკრულებას;

9. პროფესიული მასწავლებლების ანაზღაურება ხდება მათ მიერ ჩატარებული საათების შესაბამისად პროფესიული მომზადების ცენტრის უფროსის წარდგინების მიხედვით;

6. მასწავლებელთა სამსახურში მიღება

6.1 მასწავლებელთა მიღება წარმოებს აკადემიის რექტორის ბრძანებით საქართველოს კანონმდებლობით და შრომის კოდექსით გათვალისწინებული წესით;

6.2 რექტორი უფლებამოსილია ვაკანსიის შესავსებად მისი ბრძანებით განსაზღვრული ვადით მოიწვიოს კომპეტენტური სპეციალისტ(ებ)ი (მასწავლებლ(ებ)ი);

6.3 მასწავლებლების ანაზღაურება ხდება მათ მიერ ჩატარებული საათების შესაბამისად ფაკულტეტის დეკანის წარდგინების მიხედვით;

6.4 სამსახურში მისაღებად საჭირო დოკუმენტების გაფორმება და ორგანიზება წარმოებს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით.

7. მასწავლებელთა სამსახურში მიღების სქემა



შენიშვნა: რექტორის მიერ განცხადების რეზოლუციის დადებისას უნდა მიეთითოს სამსახურში მიღების ვადა.
თუ სამსახურში მიღება ხდება გამოსაცდელი ვადით, მაშინ კანდიდატი გადის სტაჟირებას.

8. პირადი საქმისწარმოება

8.1 აკადემიის თანამშრომელთა მიღებისას წარმოებს პირადი საქმე ცალკ-ცალკე თითოეული თანამშრომელისათვის.

8.2 პირად საქმეში ინახება:

ა) კანდიდატების განცხადებები რექტორის სახელზე;

ბ) განათლების დამადასტურებელი დოკუმენტების ასლები; (დიპლომი, კვალიფიკაციის დამადასტურებელი სერტიფიკატები, კვალიფიკაციის ამაღლების დამადასტურებელი საბუთები და სხვა);

გ) კადრების პირადი აღრიცხვის ფურცელი;

დ) საკვლევი და სამეცნიერო ნაშრომების ჩამონათვალი;

ე) ფოტოსურათი (3/4 2 ცალი)

ვ) CV;

ზ) პირადობის მოწმობის ასლი;

თ) აკადემიის რექტორის ბრძანება სამსახურში მიღების თაობაზე;

8.3 პირადი საქმისწარმოება და დოკუმენტების შენახვა წარმოებს კადრების განყოფილებაში;

8.4 პირადი საქმე უნდა შეიკრას ფაილებად და უნდა იყოს მიუწვდომელი გარეშე პირთათვის;

9. მოწვეული მასწავლებლის შეფასება

9.1 შეფასების შედეგები

მოწვეული მასწავლებლის შეფასება შედგება ორი ძირითადი კომპონენტიდან, კერძოდ მოწვეული მასწავლებელი წარადგენს სასწავლო სემესტრის განმავლობაში შესრულებული საქმიანობის ანგარიშს და მომწვევი აკადემიური დეპარტამენტი შესაბამის საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელთან ერთად გარე შეფასებების ანალიზის საფუძველზე (სტუდენტების გამოკითხვა, ურთიერთდასწრების შედეგები და ა.შ) წარადგენს შემაჯამებელ ანგარიშს შესაბამისი ფაკულტეტის საბჭოს წინაშე. შეფასების შედეგები გამოყენებული იქნება მოწვეული მასწავლებლის შემდგომი შერჩევისას.

მოწვეული მასწავლებლის შეფასების მიზნებია:

- პერსონალმა ზუსტად აღითქვას ის მოლოდინები, რაც აკადემიას მასთან მიმართებაში გააჩნია;
- პერსონალის საქმიანობის სისტემატური მონიტორინგი, ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეების გამოვლენა;
- პერსონალის განვითარების საჭიროებების გამოვლენა, ინდივიდუალური პოტენციალის აღმოჩენა და სწორი მიმართულებებით განვითარება;
- შრომითი მოტივაციისა და სამუშაოთი კმაყოფილების გაზრდა;
- დაკისრებული მოვალეობების შესრულების ხარისხის გაუმჯობესება

9.2 სამუშაოების შეფასების / თვითშეფასების ფორმა

მოწვეული მასწავლებლის თვითშეფასების ფორმა ივსება სემესტრული მონაცემების საფუძველზე. თვითშეფასების ფორმა, პერსონალთან გაფორმებული ხელშეკრულებიდან და მისი დატვირთვიდან გამომდინარე შეიძლება მოიცავდეს ინფორმაციას ძირითადი სასწავლო საქმიანობის ან დამატებითი სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის, სერვისების და სხვა სახის საქმიანობის შესახებ (დანართი 1).

შეფასების ინდიკატორები (0- 10 ქულა)

შეფასების ინდიკატორები	**დაბალი (0-2)** **საშუალო (3-5)** **საშუალოზე მაღალი (5-7) მაღალი (8-10)**
პოზიციის შესაბამისი სპეციალობის ცოდნა	
შემოქმედებითი / კრეატიული მიდგომა	
დეტალებზე ორიენტირება	
შესრულებული სამუშაოს ხარისხი	
დაკისრებული სამუშაოს მოცულობისათვის დამოუკიდებლად თავის გართმევის უნარი	
კომუნიკაციის და გუნდური მუშაობის უნარი	
საკუთარი პოზიციის დაცვის უნარი	
სტრესული სიტუაციისთვის თავის	

გართმევის უნარი	
პუნქტუალურობა და დროის ეფექტურად მართვის უნარი	
ცვლილებების სწრაფად აღთქმის უნარი	

9.3 შეფასების პროცესში მონაწილე პირთა მოვალეობები და ეთიკური ნორმები

1. შემფასებელი / მოწვეული მასწავლებელი / თვითშემფასებელი პასუხისმგებელია მის მიერ განხორციელებული შეფასების ყოველ კომპონენტზე;
2. შემფასებელი / მოწვეული მასწავლებელი / თვითშემფასებელი ვალდებულია ობიექტურად განახორციელოს შეფასება / თვითშეფასება;
3. შემფასებელი ვალდებულია კონფიდენციალურობის დაცვით განახორციელოს შეფასება (ანგარიში წარედგინება მომწვევ აკადემიურ დეპარტამენტს და პირადად შეფასებულ მოწვეულ მასწავლებელს);
4. შემფასებელი ვალდებულია გააცნოს შესაფასებელ პირს მისთვის დაგეგმილი აქტიობა;
5. შეფასება-განხილვაში მონაწილე ყველა მხარემ უნდა დაიცვას კონფიდენციალურობა;
6. ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტმა და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა შეფასების / თვითშეფასების პროცესთან დაკავშირებით ჩაატარონ საკონსულტაციო შეხვედრები, შეფასების / თვითშეფასების პროცესის დაწყებამდე;

დანართი N1

თვითშეფასების კითხვარი მოწვეული მასწავლებლების
(გთხოვთ, შეავსოთ სემესტრული მონაცემების საფუძველზე)

ინფორმაცია მოწვეული მასწავლებლების შესახებ				
გვარი, სახელი				
სტატუსი (უფროსი მასწავლებელი / მასწავლებელი)				
სტატუსი სამეცნიერო / აკადემიური				
აკადემიური დეპარტამენტი, ფაკულტეტი				
ძირითადი სასწავლო საქმიანობის შეფასების კრიტერიუმები (სასწავლო დატვირთვა)				
N	დატვირთვის სახეობა	სასწავლო კურსის სახელწოდება და სწავლების საფეხური	კრედიტების, საკონტაქტო და დამოუკიდებელი მუშაობის საათების რაოდენობა	შენიშვნები
1	ლექცია			
2	ლაბორატორიული მეცადინეობა			
3	პრაქტიკული მეცადინეობა			
4	სასწავლო / პროფესიული პრაქტიკა			
5	სხვა აქტიობა			
დამატებითი აქტიობები				
N	დატვირთვის სახეობა	აღწერეთ / მონიშნეთ დატვირთვის შესაბამისი აქტიობა		
1	სასწავლო კურსის მომზადება - განახლება			
2	სილაბუსის შედგება- განხილვა			
3	სააუდიტორია მუშაობისთვის მომზადება (რიდერები, ლიტერატურის მომზადება-განახლება), ელექტრონული რესურსების განახლება, კონსულტაცია, ელექტრონული პრესენტაციის მომზადება/ განახლება)			
4	ელექტრონული სასწავლო კურსის მომზადება			
5	შუალედური, საბოლოო, დამატებითი გამოცდის საკითხების (საგამოცდო ბაზის) მომზადება			
6	სტუდენტის შეფასება (ზეპირი, წერითი ნაშრომის გასწორება, ა.შ)			
7	მომდინარე დავალებების / ტესტების/ დამოუკიდებელის სამუშაოს / ლაბორატორიული / სამუშაოს მომზადება			
8	მომდინარე დაველებების /ტესტების / დამოუკიდებელი სამუშაოს / ლაბორატორიული სამუშაოს გასწირება			
9	პრაქტიკის ხელმძღვანელობა და / ან პრაქტიკის ანგარიშის გასწორება			
10	სხვა აქტიობა			
სხვა აქტიობები				
N	დატვირთვის სახეობა	აღწერეთ / მონიშნეთ დატვირთვის შესაბამისი აქტიობა		
1	საგანმანათლებლო პროექტებში მონაწილეობა (ვადა, პროექტის დასახელება, როლი, დონორი)			
2	საზღვარგარეთ სასწავლო კურსის (ლექციათა ციკლის) წაკითხვა (სასწაბლო კურსის დასახელება, ქვეყანა, სტატუსი			
3	სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა (მიუთითეთ სტატიის მონაცემები)			
4	კონფერენციებში მონაწილეობა			

ND 2-O04-06
მოქმედებაშია: 19.05.2014
რევიზიის თარიღი: 24.07.2020
რევიზიის № 4